



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ბასილაია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე



ა. ბასილაია

ბასილაია ალექსანდრე ალექსანდრეს ძე (11. III. 1942, თბილისი, – 3. X. 2009, გერმანია, დაკრძალულია თბილისში), კომპოზიტორი, პიანისტი. საქართვე. სახ. არტისტი (1987). 1967 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. კონსერვ. (კონტრაბასის კლასი, ხელმძღვ. პროფ. ნ. სავჩენკო). 1963-იდან მუშაობდა საქართვე. სახელმწ. ფილარმონიაში ჯერ პიანისტ-აკომპანიატორად, 1968-იდან კი ვოკალურ – საკრავიერი ანსამბლის „ივერიის“ ხელმძღვანელად და სოლისტად. ძირითადად, საესტრადო ჟანრში მუშაობდა.

1990-იდან – საქ. ფილარმონიის დიდი დარბაზის სამხატვრო ხელმძღვ. და დირექტორი. იგი ავტორია მრავალი საესტრადო სიმღერისა, რ-თაგან აღსანიშნავია „თეთრი ფიფქები“ (ჭ. ჩარკვიანის ლექსზე), „მოგონებანი“ (კ. კვეციძის ლექსზე), „სიყვარულის ზღაპარი“, „გულო, ჩადექ საგულესა“, „ახალგაზრდული“ (მ. ფოცხიშვილის ლექსებზე), „სიმღერა საქართველოზე“ (ლექსი ნ. მაღაზონიასი) და სხვ. ანსამბლ „ივერიისათვის“ დაწერა მიუზიკლები: „რწყილი და ჭიანჭველა“ (1977), „ჩხიკვთა ქორნილი“ (1979 ლიბრეტო –ა. გელოვანი), „არგონავტები“ (1983), „შლაგერი, შლაგერი“ (1985), „თოვლის ბებოს ზღაპარი“ (1986), „ფიროსმანი“ (1996). ამავე ანსამბლისათვის მან არაერთი ქართ. ხალხ. სიმღერა დაამუშავა. ანსამბლთან ერთად კონცერტები გამართა ყოფ. სსრკ და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში (პოლონეთი, ჩეხოსლოვაკია, გერმანია, კუბა, მექსიკა, ბოლივია, პორტუგალია).
